

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

ვინაიდან დისკრიმინაციის დადასტურება ზოგადად რთულია პრაქტიკული თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ განაცხადებს იხილავს და განსხვავებულ მოპყრობას ადგენს საქმესთან დაკავშირებული მოვლენების მთლიანობაში განხილვის და შეფასების შედეგად, როდესაც სასამართლო ამ მოვლენებს შორის ურთიერთკავშირის დადგენის გზით მიდის შესაბამის დასკვნამდე, ჰქონდა თუ არა დისკრიმინაციას ადგილი (იხ. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები: „**ივანოვა ბულგარეთის წინააღმდეგ**“ (IVANOVA v. BULGARIA) განაცხადი no. 52435/99, 12 აპრილი 2007, § § 83 – 86; „**იოკსასი ლიტვის წინააღმდეგ**“ (JOKŠAS v. LITHUANIA) განაცხადი no. 25330/07, 12 ნოემბერი 2013, § 72).

შესაბამისად, ევროსასამართლომ მოპყრობის დისკრიმინაციულობის შეფასებისას მხედველობაში უნდა მიიღოს საქმეში არსებული გარემოებები და ისინი ერთობლიობაში განხილვის შედეგად შეაფასოს.

1. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „**BAKA v. HUNGARY**“ (განაცხადი no. 20261/12, 27 მაისი 2014) დაადგინა, რომ სასამართლო საჯარო მოხელის თანამდებობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების რეალური მიზეზი იყო ის, რომ მან მართლმსაჯულების სისტემის მიმდინარე რეფორმა გააკრიტიკა, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანების საფუძველად მითითებული იყო - რეორგანიზაცია.

აღნიშნული საქმე შეეხებოდა მოსამართლეს, რომელიც მართლმსაჯულების სისტემის ერთ-ერთი წამყვანი ადმინისტრაციული თანამდებობიდან გაათავისუფლეს რეორგანიზაციის მოტივით, მას შემდეგ, რაც მან მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრობლემები და მიმდინარე რეფორმა გააკრიტიკა.

ევროსასამართლომ სარწმუნოდ არ მიიჩნია სახელმწიფოს არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ თანამდებობიდან განმცხადებლის გათავისუფლება წარმოადგენდა ამ თანამდებობის ფუნქციური ცვლილებებით გამოწვეულ აუცილებელ შედეგს. ის ფაქტი, რომ ამ თანამდებობის ფუნქციები ორად გაიყო, საკმარისი არ იყო იმ დასკვნისათვის, რომ ძველი თანამდებობის ფუნქციებმა არსებობა შეწყვიტეს. თანაც, ეროვნული ხელისუფლების წინაშე საერთოდ არ

დასმულა საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად შეძლებდა განმცხადებელი ახალ თანამდებობაზე მუშაობას, ასევე, არ დასმულა საკითხი განმცხადებლის პროფესიული დამსახურების და კვალიფიკაციის შესახებ. (იხ. § 95).

ევროსასამართლომ სანდოდ მიიჩნია განმცხადებლის მიერ მითითებული ფაქტები და საქმეში მოვლენების განვითარების თანმიმდევრობა, რომელიც სარწმუნოს ხდიდა განმცხადებლის იმ ვერსიას, რომ მისთვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა იყო არა უბრალოდ რეორგანიზაციის შედეგი, არამედ სინამდვილეში გამოწვეული იყო მის მიერ მოსაზრებების საჯაროდ გამოხატვით და მიმდინარე მართლმსაჯულების რეფორმის საჯაროდ გაკრიტიკებით. (იხ. პგ. 96). ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში არ არსებობდა საფუძველი იმ დასკვნისთვის, რომ მომჩივნის მიერ გამოხატული მოსაზრებები სცდებოდა საქმიანი კრიტიკის დასაშვებ ფარგლებს ან რომ ისინი შეიცავდნენ უსაფუძვლო პერსონალურ შეურაცხყოფას ან თავდასხმას (იხ. პგ. 100). ამდენად, ევროსასამართლომ მე-10 მუხლის დარღვევაც დაადგინა.

2. კიდევ ერთ საქმეში „**IVANOVA v. BULGARIA**“ (განაცხადი no. 52435/99, 12 აპრილი, 2007) ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ერთ-ერთი სკოლის თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების რეალური მიზეზი მისი რელიგიური მრწამსი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზად მითითებული იყო ამ თანამდებობის დასაკავებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნების ამაღლება. ევროსასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ განმცხადებელთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა შრომის კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით არ გამორიცხავდა სამსახურიდან განმცხადებლის გათავისუფლების არსებით მოტივს. (იხ. § 84).

აღნიშნული საქმე შეეხებოდა სკოლის თანამშრომელს, რომელსაც „საცურაო აუზის მენეჯერის“ თანამდებობა ეკავა. იგი წარმოადგენდა ერთ-ერთი რელიგიური ორგანიზაციის (Word of life) მიმდევარს, რომელიც ბულგარეთში იდევნებოდა, მათ შორის, ხელისუფლების ოფიციალური პირების მხრიდან.

ბულგარეთის ერთ-ერთი რეგიონის გუბერნატორმა და პარლამენტის წევრმა საჯაროდ გააჟღერეს მოწოდება, რომ მითითებულ სკოლაში უნდა აღმოფხვრილიყო ამ რელიგიური ორგანიზაციის მიმდევართა საქმიანობა და ამისათვის სათანადო ზომები მყისიერად უნდა გატარებულიყო. 1995 წლის 23 ოქტომბერს, ბულგარეთის

განათლების მინისტრის ბრძანებით, ამ სკოლის დირექტორი გათავისუფლდა სამსახურიდან. ამის მიზეზად კი დასახელდა ის გარემოება, რომ სკოლის დირექტორი, რომელსაც სკოლის თანამშრომლებზე მეთვალყურეობა ევალებოდა, ღმობიერად იყო განწყობილი ამ რელიგიური ორგანიზაციის მიმდევარი მასწავლებლების მიმართ და ეს საფრთხეს უქმნიდა სკოლის აღსაზრდელებს. შესაბამისად, სკოლაში ახალი დირექტორი დაინიშნა. (იხ. §. 19-21).

მაგრამ ამის შემდეგ ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში პარლამენტის წევრმა საჯაროდ კიდევ განაცხადა, რომ სკოლაში კვლავ იყვნენ ამ რელიგიური ორგანიზაციის მიმდევარი მასწავლებლები. (იხ. § 22).

საყურადღებოა, რომ განმცხადებლის, „საცურაო აუზის მენეჯერის“ პოზიციის დასაკავებელი პოსტის აღწერა მანამდე არ მოითხოვდა უმაღლესი განათლების დიპლომს ან პროფესიულ კვალიფიკაციას. (იხ. §. 28).

განმცხადებელმა სკოლაში მუშაობა 1994 წლის 14 ოქტომბერს დაიწყო, მოკლევადიანი კონტრაქტის საფუძველზე. (იხ. § 28). 1995 წლის 20 სექტემბრიდან კი მისი შრომითი ხელშეკრულება განისაზღვრელი ვადით გაგრძელდა. (იხ. § 28)

ბულგარეთის განათლების სამინისტრომ დაამტკიცა სკოლის თანამშრომლების უფლება-მოვალეობათა (ფუნქციების) ახალი ნუსხა, რომელიც 1995 წლის 1-ლი ოქტომბრიდან ამოქმედდა. ფუნქციების ამ ახალი ნუსხის მიხედვით, „საცურაო აუზის მენეჯერის“ პოსტისთვის სავალდებულო მოთხოვნად განისაზღვრა უმაღლესი განათლება. (იხ. § 29).

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ამას უარყოფდა, განმცხადებელი მიუთითებდა, რომ 1995 წლის 2 ნოემბერს განათლების ინსპექტორმა და მისმა მოადგილემ განმცხადებელი და სკოლის კიდევ ერთი თანამშრომელი დაიბარა, რა დროსაც მათ დაემუქრნენ, რომ თუკი საკუთარი განცხადებით არ დატოვებდნენ თანამდებობას ან თუკი არ უარყოფდნენ საკუთარ რწმენას, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველით მათ გაათავისუფლებდნენ სამსახურიდან. სკოლის მეორე თანამშრომელმა სამსახურის შენარჩუნების გამო უარყო თავისი მრწამსი, მაგრამ განმცხადებელი ასე არ მოქცეულა და ამავდროულად უარი განაცხადა საკუთარი განცხადებით დაეტოვებინა სამსახური. აღნიშნული შეხვედრის დროს არ დასმულა საკითხი ან არ გაკეთებულა შეფასება იმის თაობაზე, თუ რამდენად კარგად ართმევდა თავს განმცხადებელი მის საქმეს და აკმაყოფილებდა თუ არა ის ამ თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებს. (იხ. § 31).

1995 წლის 28 დეკემბერს განმცხადებელი გათავისუფლდა საცურაო აუზის მენეჯერის დაკავებული თანამდებობიდან, იმ საფუძველით, რომ იგი არ აკმაყოფილებდა უმაღლესი განათლების და სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აღნიშნული პოსტისთვის. (იხ. § 36).

განმცხადებელმა სადავოდ გახადა სასამართლოში სამსახურიდან მისი გათავისუფლება, თუმცა ეროვნულმა სასამართლოებმა მისი სარჩელი არ დააკმაყოფილეს. როდესაც ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილება განმცხადებელმა საკასაციო სასამართლოში გაასაჩივრა, მან მიუთითა, რომ სასამართლოებმა ვერ შეძლეს სათანადოდ შეეფასებინათ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და არ გამოუკვლევიათ მისი სასარჩელო მოთხოვნის არსი, რომელიც რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციაში გამოიხატებოდა. იგი აღნიშნავდა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არ შეაფასეს სამსახურიდან მისი გათავისუფლების ირგვლივ არსებული შესაბამისი გარემოებები, განსაკუთრებით კი ის მოვლენები, რომლებსაც განმცხადებლის გათავისუფლებამდე მივყავართ, სწორედ რომლებიც ცხადად წარმოაჩენდნენ რეალურ მიზეზს, დამსაქმებლის მხრიდან თუ რატომ იქნა გამოყენებული განმცხადებლის სამსახურიდან გაშვების ის კონკრეტული მეთოდი, რაც დამსაქმებელმა გამოიყენა, როდესაც შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტა. (იხ. § 53).

ბულგარეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები. საკასაციო სასამართლომ მიუთითა მოთხოვნის დაუსაბუთებლობაზე და ხაზი გაუსვა იმას, რომ სკოლას უფლება ჰქონდა შეეცვალა პოსტის დასაკავებლად დაწესებული მოთხოვნები და რომ ასეთი ცვლილებები არ ექვემდებარებოდა სასამართლო კონტროლს (განხილვას). ამასთან, უზენაესმა სასამართლომ შეადარა ფუნქცია-მოვალეობები „საცურაო აუზის მენეჯერისა“ და „სპორტ კომპლექსის ორგანიზატორისა“ (განათლების მინისტრის აქტით პოსტს სახელიც გადაერქვა) და დაადგინა, რომ ისინი არსებითად ერთნაირი იყო. საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ წინამორბედი თანამდებობის აღწერას აკლდა უმაღლესი განათლების ან პროფესიული კვალიფიკაციის მოთხოვნები და ამ მხრივ, განათლების სამინისტროს მხრიდან მოხდა მათი შევსება, უკვე ახალი პოსტის ფარგლებში. (იხ. § 55).

რაც შეეხებოდა დანარჩენ მოთხოვნებს, უზენაესმა სასამართლომ ისინი არ მიიღო განსახილველად, რამდენადაც ისინი შეუსაბამოდ ცნო გათავისუფლების განსახილველ საკითხთან მიმართებით. (იხ. § 56).

საყურადღებოა, რომ ევროსასამართლო ამ საქმის განხილვის დროს დამატებით დაეყრდნო არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებსა და წლიურ ანგარიშებს, რომლებშიც ბულგარეთის არასამთავრობო ორგანიზაციები საუბრობდნენ, 1994-1996 წლებში, თუ როგორ იდევნებოდნენ ბულგარეთში არატრადიციული რელიგიური კონფესიების მიმდევრები და რომ ირღვეოდა მათი რელიგიის თავისუფლება. ანგარიშებში ასევე მითითებული იყო, რომ ხელისუფლების წარმომადგენელი ოფიციალური პირები ასეთ რელიგიურ ორგანიზაციებს შეზღუდვებს უწესებდნენ და მათი საქმიანობის ხელოვნურად ხელშეშლას ახდენდნენ. (იხ. § 67).

არასამთავრობოების ანგარიშებში პირდაპირ იყო მითითებული ის რელიგიური ორგანიზაცია, რომელსაც განმცხადებელი მისდევდა (Word of life). ანგარიშში ასევე აღნიშნული იყო, რომ ფიქსირდებოდა ამ ორგანიზაციის მიმდევრების საჯარო სამსახურებიდან დათხოვნის ფაქტები სწორედ მათი რელიგიური შეხედულოებების გამო. (იხ. § 68).

ევროსასამართლო საქმის გადაწყვეტის დროს ასევე დაეყრდნო მასმედიის საშუალებებით ოფიციალური პირების მიერ გაკეთებულ საჯარო განცხადებებს, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ მოცემულ საქმესთან.

განმცხადებელი მიუთითებდა მის გათავისუფლებამდე, მის საქმეში მოვლენების განვითარების თანმიმდევრობაზე და ამ მოვლენებს მიიჩნევდა მისი გათავისუფლების რეალური მიზეზის ცხად ინდიკატორად. იმის გათავალისწინებით, რომ განმცხადებელს კარგი სამუშაო ურთიერთობა ჰქონდა მის კოლეგებთან და სკოლაში მისი მუშაობის ხარისხი დამაკმაყოფილებელი იყო, აპლიკანტი დავობდა, რომ შეუძლებელი იყო დამსაქმებლის მიერ მისი გათავისუფლება პირდაპირ იმ საფუძველით, რომელიც უკავშირდებოდა მისი მუშაობის ხარისხს. გამომდინარე აქედან, განმცხადებელი ამტკიცებდა, - იმისათვის, რომ დამსაქმებელს მიეღწია სამსახურიდან განმცხადებლის გათავისუფლების სასურველი შედეგისთვის, დამსაქმებელმა მიმართა უზვეულო მეთოდს, რომ შეეცვალა სკოლის თანამდებობების ფუნქციები, მათ შორის, მისი. თუმცა, მომჩივნის აზრით, ამ იურიდიული ტექნიკის გამოყენებით, გათავისუფლების

რეალური მიზეზი მაინც ვერ შეიცვლებოდა, რომელიც მის რელიგიურ შეხედულებებს და რწმენას უკავშირდებოდა. (იხ. § 75).

განმცხადებელი ასევე მიუთითებდა მტკიცების სტანდარტზე, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით მოითხოვება, კერძოდ, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი, რომელსაც ევროსასამართლო იყენებს საქმის განხილვისას: „მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად მყარი, ნათელი და თანმხვედრი დასკვნებიდან ან ფაქტების მსგავსი ცალსახა პრეზუმფციიდან“ (საქმე: *Anguelova v. Bulgaria*, no. 38361/97, § 111, ECHR 2002-IV). შესაბამისად, მთლიანობაში მათი განხილვით, მის საქმეში არსებული მტკიცებულებები აკმაყოფილებდნენ თანმდევი მტკიცების ტვირთს და გონივრულ ეჭვს მიღმა ადგენდნენ, რომ მისი სამსახურიდან გაშვების არსებითი მიზეზი სწორედ მისი რელიგიური რწმენა იყო. (იხ. § 76).

ევროსასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ საქმეში ამოსავალი იყო იმის განსაზღვრა, შრომითი ურთიერთობა შეწყდა მხოლოდ იმის შედეგად, რომ არსებობდა სკოლის დასაბუთებული საჭიროება შეცვლილიყო საკვალიფიკაციო მოთხოვნები ამ პოსტისთვის, თუ განმცხადებელი გაათავისუფლეს სამსახურიდან მისი რელიგიური მრწამსის გამო. (იხ. § 81).

ევროსასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მთავრობა თავის არგუმენტებში მიუთითებდა ლეგიტიმურ შიშზე, რომ სკოლებში ამ რელიგიური ორგანიზაციის მიმდევრების მხრიდან არაკანონიერი ქმედებები ხორციელდებოდა რელიგიის პროპაგანდის მიზნით და რომ განმცხადებელი სავარაუდოდ ჩაბმული იყო ამ მოქმედებებში და რომ ხელისუფლებას გააჩნდა ლეგიტიმური მიზანი შეეჩერებინა ეს მოქმედებები. თუმცა, მთავრობას ევროსასამართლოსთვის არ წარუდგენია კონკრეტული მტკიცებულება, რომ განმცხადებელი ხელს უწყობდა მისი რელიგიის გავრცელებას სკოლაში. (იხ. § 82).

სტრასბურგის სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში მოცემული მოვლენების განვითარების თანმიმდევრობის მიხედვით და მათი მთლიანობაში განხილვით, და არა განცალკევებულად ინციდენტების ცალ-ცალკე განხილვით, სასამართლო ადგენს ურთიერთკავშირს საქმეში არსებულ სხვადასხვა გარემოებებს შორის, რომლებმაც საბოლოოდ განმცხადებლის სამსახურიდან გაათავისუფლება გამოიწვია. კერძოდ, სახელმწიფოს მხრიდან წამოწყებული იყო კამპანია, რომლითაც პროკურატურის ორგანო დაინტერესდა სკოლის თანამშრომლების რელიგიური საქმიანობით.

პროკურატურის ორგანომ დაადასტურა, რომ ასეთ რელიგიურ აქტივობებს სკოლებში მართლაც ჰქონდა ადგილი. 1995 წლის 20 სექტემბერს, განმცხადებლის ვადიანი შრომითი კონტრაქტი შეიცვალა განუსაზღვრელი ვადით დადებულიად.

სკოლის პოსტებისთვის ახალი ფუნქციები შემოიღეს 1995 წლის 1 ოქტომბერს, რაც განმცხადებლის პოსტისთვის სავალდებულოდ მოითხოვდა უმაღლეს განათლებას. რეგიონის გუბერნატორი და პარლამენტის წევრი დაემუქრა განათლების ინსპექტორს, რომ საჭირო იყო სკოლებში რადიკალური ზომების გატარება ამ ორგანიზაციის რელიგიური აქტივობების აღმოსაფხვრელად და ასევე საჭირო იყო გაეთავისუფლებინათ სკოლის პრინციპალი, რომელიც ხელს აფარებდა სკოლის ასეთ თანამშრომლებს.

1995 წლის 23 ოქტომბერს, სკოლის პრინციპალი გათავისუფლდა განათლების მინისტრის მიერ, იმის გამო, რომ რელიგიური ორგანიზაცია „Word of life“-ის მიმდევრების მიმართ ტოლერანტობას იჩენდა და რომ ამ პრინციპალმა არ გაათავისუფლა სკოლებიდან ამ რელიგიური ორგანიზაციას მიმდევარი თანამშრომლები. განათლების ინსპექტორსა და მის მოადგილესთან 1995 წლის 2 ნოემბრის შეხვედრაზე, განმცხადებელს და მის ერთ თანამშრომელს მოსთხოვეს, რომ თავისი ნებით დაეტოვებინათ პოსტები ან უარი ეთქვათ რელიგიურ მრწამსზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაავალდებდნენ სკოლის ახალ პრინციპალს სამსახურიდან მათ გათავისუფლებას, მიუხედავად მათი მუშაობის ხარისხისა.

ერთმა თანამშრომელმა უარყო თავისი რწმენა, ვინაიდან ოჯახის და ორი შვილის მარჩენალი იყო და აშკარად იკვეთებოდა, რომ სკოლის ამ თანამშრომლის მიმართ ზემდგომი თანამდებობის პირებს ზემდგომი ზომები აღარ გაუტარებიათ და არ გაუთავისუფლებიათ თანამდებობიდან. მაგრამ განმცხადებელმა უარი თქვა მისი ნებით სამსახურიდან წასვლაზე და არც რწმენა უარყო.

1995 წლის 7 დეკემბრის რადიოგამოსვლაში, პარლამენტის წევრმა სწორედ ეს პოსტი გამოარჩია და აღნიშნა, რომ მას კვლავ იკავებდნენ რელიგიური ორგანიზაციის მიმდევრები. 1995 წლის 28 დეკემბერს, განმცხადებელი დაითხოვეს სამსახურიდან იმ საფუძვლით, რომ აღარ აკმაყოფილებდა იმ პოსტისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომელზეც 8 თვის წინ იგი დააწინაურეს. დაბოლოს, 1996 წლის 30 იანვარს, განმცხადებლის პოსტს მინისტრის აქტით შეეცვალა სახელწოდებაც და სავალდებულო გახდა უმაღლესი განათლების დიპლომი სპორტის განხრით.

ევროსასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ ბულგარეთის საკასაციო სასამართლომ თანამდებობების შედარების დროს დაადგინა „საცურო აუზის მენეჯერის“ და „სპორტ კომპლექსის ორგანიზატორის“ პოსტის ფუნქციამოვალეობების არსებითი იგივეობა. (იხ. § 83).

შესაბამისად, ამ ზემოთ მოყვანილი ფაქტების განვითარების თანმიმდევრობის მხედველობაში მიღებით, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა იყო არა უბრალოდ ამ პოსტის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დასაბუთებული ცვლილებების შედეგი, არამედ სწორედ მისი რელიგიური მრწამსის და საქმიანობის შედეგი, რომელიც დაცულია კონვენციის მე-9 მუხლით. ის ფაქტი, რომ განმცხადებლის შრომითი ურთიერთობა შეწყდა შრომითი კოდექსის მოთხოვნების დაცვით - კერძოდ, ახალი მოთხოვნების შემოღება პოსტისთვის, რომელსაც განმცხადებელი აღარ აკმაყოფილებდა - ვერ გამორიცხავდა განმცხადებლის თანამდებობიდან გათავისუფლების არსებით მოტივს, განაცხადა ევროსასამართლომ. ამ მხრივ ყველაზე მეტის მთქმელი კი იყო ის შეხვედრა, რომელიც შედგა 1995 წლის 2 ნოემბერს, როდესაც განმცხადებელზე ხელისუფლების წარმომადგენლებმა ზეწოლა განახორციელეს, რათა განმცხადებელს თანამდებობის შენარჩუნებისთვის უარეყო რელიგიური მრწამსი, რასაც ევროსასამართლო მიიჩნევს რელიგიის თავისუფლების უხეშ დარღვევად, კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად. (იხ. § 84).

სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, ევროსასამართლომ მნიშვნელოვნად მიაჩნია ის ფაქტი, რომ განმცხადებელი იყო სკოლის არააკადემიური სტაფის წევრი, რომელიც განათლების სამინისტროს უშუალო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. მეტიც, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ მიმდინარე ქმედებებზე, რომლითაც ხდებოდა ამ რელიგიური ორგანიზაციის მხარდამჭერების საჯარო შეკრებების დაშლა სახელმწიფოს მხრიდან, ასევე საქმეში ისეთი სახელმწიფო ორგანოების ჩართულობაზე, როგორებიცაა პროკურატურა და ეროვნული უსაფრთხოების სამსახური, პარლამენტის წევრი და განათლების ინსპექტორი, ასევე, დისციპლინარული წესით გათავისუფლება სკოლის წინამორბედი პრინციპალისა, იმის გამო, რომ იგი ამართლებდა ამ რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენლების აქტივობას სკოლაში. ეს მოვლენები მიუთითებს შეუწყნარებლობის პოლიტიკაზე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან შესაბამისი პერიოდის განმავლობაში, რომელიც ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ ბრძოლისკენ იყო მიმართული. განმცხადებლის გათავისუფლება მალევე, მას შემდეგ, რაც სკოლაში

ახალი პრინციპალი დაინიშნა, წარმოაჩენს, რომ ეს ქმედება იყო აღნიშნული სახელმწიფო პოლიტიკის იმპლემენტაციის პირდაპირი შედეგი. (იხ. § 85).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროსასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა, ვინაიდან განმცხადებლის გათავისუფლების ნამდვილი საფუძველი იყო მისი რელიგიური შეხედულებები. (იხ. § 86).

3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი საქმე **HOFFMANN v Austria** (განაცხადი no.12875/87, 1993 წლის 23 ივნისი) შეეხება დისკრიმინაციას რელიგიური ნიშნით, როდესაც ერთ-ერთ მშობელს ჩამოერთვა მშობლის უფლება მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ იგი იელოვას მოწმე იყო. დარღვევა შეეხებოდა რელიგიის თავისუფლების შეზღუდვას და დისკრიმინაციულ მოპყრობას.

ევროსასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ თავის გადაწყვეტილებაში ავსტრიის სასამართლომ პირდაპირ მიუთითა უფლების შეზღუდვის მოტივზე, რომ მისი რელიგიური კუთვნილება უარყოფითად იმოქმედებდა ბავშვებზე. პირველ რიგში, ევროსასამართლომ შეამოწმა ჰქონდა თუ არა ადგილი განსხვავებულ მოპყრობას. ვინაიდან საქმეში, ავსტრიის სასამართლოსთვის თავისი გადაწყვეტილების ამ შინაარსით მიღებისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ დაზარალებულის რელიგიურ კუთვნილებას მიენიჭა, ევროსასამართლომ დაადგინა განსხვავებული მოპყრობა (იხ. § 33); რომ არა რელიგიური ნიშანი, ავსტრიის სასამართლო სხვაგვარ გადაწყვეტილებას გამოიტანდა, ანუ უფრო ხელსაყრელად მოეპყრობოდა დაზარალებულს.¹

გადაწყვეტილება, საქმეზე - *Cusan and Fazzo v. Italy*² - ეხებოდა, დედის მიერ შვილისათვის გვარის მინიჭების შეუძლებლობას. მომჩივნებმა, დაქორწინებულმა წყვილმა, მათი ქალიშვილის დაბადების შემდეგ, წარუმატებლად მოითხოვეს მისთვის, მხოლოდ დედის გვარის მინიჭება. კანონი, რომლისგანაც გამონაკლისი არ დაიშვებოდა, ადგენდა, რომ „კანონიერ შვილებს“ დაბადებისთანავე ავტომატურად, მხოლოდ მამის გვარი გადაეცემოდა, მაშინაც კი, თუ მშობლები ერთობლივად გამოხატავდნენ თანხმობას აღნიშნულის საწინააღმდეგოს შესახებ.

მომჩივნების მოსაზრებით, კანონს მათთვის ნება უნდა დაერთო, რათა საკუთარი შვილის გვარი განესაზღვრათ. ევროსასამართლოში საქმის წარმოებისას, ისინი

¹ მასალა მოწოდებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ

² *Cusan and Fazzo v. Italy*, no. 77/07, 7 January 2014.

ამტკიცებდნენ, რომ დაერღვათ კონვენციის მხოლოდ მე-8 მუხლი ან მე-8 მუხლი მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

გადაწყვეტილება განიხილავდა ახალდაბადებული ბავშვის სამოქალაქო რეესტრში დედის გვარზე დარეგისტრირების შეუძლებლობის საკითხს, მაშინაც კი, თუ სახეზე იყო მამის თანხმობა.

ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მსგავს სიტუაციებში მყოფი პირების, კერძოდ, ბავშვის დედისა და მამის მიმართ, ადგილი ჰქონდა განსხვავებულ მოპყრობას. „კანონიერი ბავშვების“ გვარის არჩევა განისაზღვრებოდა, მხოლოდ, მშობლების სქესის ნიშნით დისკრიმინაციის საფუძველზე.

სტრასბურგის სასამართლომ, დასაბუთებაში, ხაზგასმით აღნიშნა, პირის გვარის არჩევისას დისკრიმინაციის ყველა საფუძვლის აღმოფხვრის მნიშვნელობა (იხ. სახელდობრ, საქმე - *Unal Tekeli v. Turkey*³). მიუხედავად იმისა, რომ „კანონიერი ბავშვებისათვის“ ქმრის გვარის გადაცემის შესახებ წესი, პრაქტიკაში საჭირო იყო და აუცილებლად კონვენციასთან შეუსაბამო არ გახლდათ, ის ფაქტი, რომ ბავშვის რეგისტრაციისას შეუძლებელი იყო მისგან გადახვევა, წარმოადგენდა უკიდურეს სიმკაცრეს. გარდა ამისა, აღნიშნული, ქალთა მიმართ დისკრიმინაციული იყო. შესაბამისად, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას, მე-8 მუხლთან ერთობლიობაში.

რასობრივი დისკრიმინაცია

Nachova and Others v. Bulgaria

06.07.2005 (დიდი პალატა)

აპლიკანტები დავობდნენ, რომ ბოშური წარმოშობის ხალხის მიმართ არსებული უარყოფითი და მტრული დამოკიდებულება თამაშობდა გადამწყვეტ როლს იმ გარემოებებში, რომელმაც გამოიწვია ფატალური სროლა მისი ახლო ნათესავების მიმართ - 21 წლის მქონე ორი მამაკაცი მოკლეს სამხედრო პოლიციის ოფიცრებმა, მათი დაკავებისას.

³ *Unal Tekeli v. Turkey*, no. 29865/96, ECHR 2004- X (ამონარიდები).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა მე-2 მუხლთან (სიცოცხლის უფლება) ერთობლიობაში, იმ საფუძვლით, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს აღნიშნული დანაშაულების რასობრივი მოტივებით ჩადენის გამოძიება.

Sejdić and Finci v. Bosnia and Herzegovina

22.12.2009 (დიდი პალატა)

საქმე ეხებოდა რომაელი და ებრაული წარმოშობის პირების შესაძლებლობის არქონას, სახელმწიფო პრეზიდენტის და საპარლამენტო ასამბლეის სახალხო პალატის არჩევნებში მიეღოთ მონაწილეობა.

აღნიშნული წარმოადგენდა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლთან ერთობლიობაში (თავისუფალი არჩევნების უფლება), რომელიც უკავშირდებოდა აპლიკანტების შესაძლებლობის არქონას მონაწილეობა მიეღოთ სახალხო პალატის არჩევნებში. ევროსასამართლომ დაადგინა მე-12 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის (დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა) დარღვევა, აპლიკანტების მიერ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების არქონის გამო. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ არსებობდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, რომელიც ავტომატურად მთლიანად არ გამორიცხავდა მოსახლეობას, თუ ისინი არ მიეკუთვნებოდნენ „ადგილობრივ ხალხს“ (ბოსნიელები, ხორვატები და სერბები).

რადგან მე-14 მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას „კონვენციით დაცული უფლებების და თავისუფლებების მიმართ“, მე-12 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი აფართოებს დაცვის მასშტაბს „კანონით დადგენილი ყველა უფლების მიმართ“. შესაბამისად, იგი წარმოადგენს დისკრიმინაციის ზოგად აკრძალვას. ეს იყო პირველი შემთხვევა, Sejdić and Finci -ის გადაწყვეტილებაში, რომ ევროსასამართლომ დაასკვნა ამ მუხლის დარღვევა.

გენდერული იდენტობა

Van Kuck v. Germany

12 ივნისი 2003 წელი

განმცხადებელი ჩიოდა გერმანიის სასამართლო პროცესების სამართლიანობის სავარაუდო დარღვევებთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა მის საჩივრებს; კერძოდ: სქესის შეცვლის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ანაზღაურებას, ჯანმრთელობის დაზღვევის კერძო კომპანიისგან. განმცხადებელი დავობდა, რომ სასამართლოს აღნიშნულმა გადაწყვეტილებებმა დაარღვია მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის §1 (უფლება სამართლიან სასამართლოზე) მუხლის დარღვევას. გერმანიის სასამართლოს უნდა მოეთხოვა შემდგომი დაზუსტება სამედიცინო ექსპერტისგან. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მითითებას განმცხადებლის მდგომარეობის მიზეზებთან დაკავშირებით, არ შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილებაში რაიმე თვითნებური ან უცნაური იყო სქესის შეცვლის ქირურგიულ ოპერაციასთან დაკავშირებით და აპლიკანტს, ფაქტობრივად, უკვე იმჟამად გაკეთებული ჰქონდა ეს ოპერაცია. მთლიანობაში, სამართალწარმოება არ აკმაყოფილებდა სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნებს.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ, ასევე, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). რადგან გენდერული იდენტობა წარმოადგენდა აპლიკანტის პირადი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე ინტიმურ ასპექტს, აღნიშნული წარმოადგენდა არაპროპორციულ გამოვლინებას, იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანს დაევალებოდა მკურნალობის სამედიცინო აუცილებლობის დამტკიცება. არ არსებობდა სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ სადაზღვევო კომპანიის ინტერესებსა და მეორე მხრივ ინდივიდის ინტერესებს შორის.

Grant v. the United Kingdom

23 მაისი 2006 წელი

განმცხადებელი, 68 წლის ტრანსსექსუალი, რომელმაც გადაიტანა სქესის შეცვლის ოპერაცია (მამრობითი სქესი შეიცვალა მდედრობითად), ჩიოდა, რომ არ მოხდა მისი

შეცვლილი სქესის სამართლებრივი აღიარება და შესაბამისად, უარი ეთქვა საპენსიო უზრუნველყოფაზე, რომელიც 60 წლის ასაკში სხვა ქალებს ეკუთვნოდათ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ აპლიკანტი იყო ზემოთ აღნიშნული საქმის **Christine Goodwin**-ის მსგავს სიტუაციაში (იხ. ზემოთ, გვ-ები 2-3). მიუხედავად იმისა, რომ სიმართლეს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ხელისუფლებას უნდა გადაეღვა ნაბიჯები **Christine Goodwin**-ზე დადგენილი გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც მოიცავდა ახალი კანონმდებლობის მიღებას; აღნიშნული არ წარმოადგენდა იმ საქმეს, როცა პროცესი, ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლებოდა მიჩნეულიყო, აპლიკანტისთვის დაზარალებულის სტატუსის შეჩერების საფუძველად. **Christine Goodwin**-ზე გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ, აღარ არსებობდა არანაირი გამართლება პოსტ-ოპერაციული ტრანსსექსუალების სქესის არაღიარებასთან დაკავშირებით. აპლიკანტს, იმ დროს არ ჰქონდა რაიმე შესაძლებლობა მიეღო ასეთი აღიარება და შეეძლო იმ მომენტიდან ედავა ზიანის მიყენების შესახებ. განმცხადებელს დაზარალებულის სტატუსი შეუწყდა მას შემდეგ, რაც გენდერული აღიარების 2004 წლის აქტი შევიდა ძალაში, რომელიც ეროვნულ დონეზე იძლეოდა აღიარების მოპოვების საშუალებას. შესაბამისად, აპლიკანტს შეეძლო ედავა, რომ იგი წარმოადგენდა დაზარალებულს იმ მომენტიდან, როცა მისი სამართლებრივი აღიარება არ მოხდა; კერძოდ, **Christine Goodwin**-ის გადაწყვეტილების შემდეგ, როდესაც ხელისუფლების ორგანოებმა უარი განაცხადეს მისი საჩივრისთვის რაიმე მნიშვნელობა მიენიჭებინათ, 2002 წლის 5 სექტემბრიდან. არაღიარებამ დაარღვია აპლიკანტის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

P.V. v. Spain (no. 35159/09)

30 ნოემბერი 2010 წელი

ეს საქმე შეეხებოდა ტრანსსექსუალს (მამრობითი სქესი შეიცვალა მდედრობითად), რომელსაც, 1998 წელს, სქესის შეცვლამდე ჰყავდა ვაჟი მეუღლესთან ერთად. ისინი გაშორდნენ 2002 წელს და აპლიკანტი დავობდა, მის ვაჟთან ურთიერთობის ღონისძიებებზე სასამართლოს მიერ დაწესებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, იმ საფუძველით, რომ განმცხადებლის ემოციური არასტაბილურობა სქესის შეცვლის შემდეგ, მოიცავდა გარკვეული დაბრკოლების რისკებს ექვსი წლის ბავშვისთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მე-14 მუხლთან ერთობლიობაში. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ ბავშვთან კავშირზე დაწესებული შეზღუდვები აპლიკანტის ტრანსსექსუალობის საფუძველზე არსებული დისკრიმინაციისგან არ გამომდინარეობდა. ესპანეთის სასამართლოების მიერ დაწესებული შეზღუდვის გადამწყვეტი საფუძველი, მომჩივნის დროებითი ემოციური არასტაბილურობის მხედველობაში მიღებით, ბავშვის კეთილდღეობა იყო. შესაბამისად, მათ მიიღეს თანდათანობითი ღონისძიებები, რომელიც საშუალებას მისცემდა ბავშვს, მიჩვეულიყო მამის ახალ სქესს.

Y.Y. v. Turkey (no.14793 / 08)⁴

10 მარტი, 2015 წელი

ეს საქმე ეხება თურქეთის ხელისუფლების მიერ გაცემულ უარს სქესის შეცვლის ოპერაციის ნებართვასთან დაკავშირებით, იმ საფუძველით, რომ აღნიშნული თხოვნის მქონე პირს - ტრანსსექსუალს, შეეძლო დაორსულება. აპლიკანტი - რომელიც საჩივრის დროს რეგისტრირებული იყო მდედრობით სქესად - დავობდა, კერძოდ, მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევის შესახებ. მან განსაკუთრებული მნიშვნელობით განაცხადა, რომ საკუთარი თავის, როგორც მამაკაცად აღქმასა და მის ფიზიკურ კონსტიტუციურობას შორის არსებული განსხვავება დამტკიცებული იყო სამედიცინო დასკვნებით და დავობდა ეროვნული ორგანოების მიერ ნებართვაზე გაცემულ უარს, წერტილი დასმოდა ამ განსხვავებას, იმ საფუძველით, რომ მას შეეძლო დაორსულება. საბოლოო ჯამში, 2013 წლის მაისში, თურქეთის სასამართლოებმა მიიღეს საჩივარი და ნება დართეს ოპერაციაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), იმ საფუძველით, რომ აპლიკანტისთვის, მრავალი წლის განმავლობაში ნათქვამი უარით, ასეთი ოპერაციის ჩატარების შესახებ, თურქეთის სახელმწიფომ დაარღვია მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება. სასამართლომ გაიმეორა, რომ, კერძოდ, ტრანსსექსუალების შესაძლებლობა მისი უფლებების სრულად სარგებლობის შესახებ, მისი პიროვნული განვითარების და ფიზიკური, მორალური

⁴ აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოო გახდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 44 §2 (საბოლოო გადაწყვეტილებები) მუხლში აღნიშნული გარემოებების საფუძველზე.

ერთიანობის თაობაზე, არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო საკამათო საკითხად. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მაშინაც კი, თუ ვიგულისხმებთ, რომ განმცხადებლის პირველად მოთხოვნაზე - ასეთ ოპერაციაზე ხელმისაწვდომობა - უარის თქმა ეფუძნებოდა შესაბამის საფუძველს, იგი არ იყო დაფუძნებული საკმარის გარემოებაზე. შესაბამისი ჩარევა აპლიკანტის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ვერ იქნებოდა მიჩნეული, როგორც „აუცილებელი“ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ბოშები და მოგზაურები

Angelova and Iliev v. Bulgaria

26 ივლისი, 2007 წელი

განმცხადებლები, დედა და ვაჟი დავობდნენ, შესაბამისად მისი ვაჟის და ძმის მიმართ, შვიდი მოზარდის მიერ რასობრივად მოტივირებული მკვლელობის შესახებ და ბულგარეთის ხელისუფლების მხრიდან გამოძიების ჩატარების და დამნაშავეთა დასჯის ვალდებულების შეუსრულებლობას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტი (სიცოცხლის უფლება) იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ბულგარეთის ხელისუფლებამ ვერ განახორციელა კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე მისი ვალდებულება, ეფექტურად, დაუყოვნებლივ, სწრაფად და საჭირო ძალისხმევით გამოეძიებინა აპლიკანტების ნათესავების სიკვდილი, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ თავდასხმა რასობრივი მოტივებით განხორციელდა და უმცირესობათა ჯგუფებს ხელისუფლების მიმართ ნდობა შეენარჩუნებინათ, რასობრივი ძალადობის საფრთხისგან მათი დაცვის მიზნით. შემდგომ, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, ბოშა ხალხის მიმართ გავრცელებული მტრული და ძალადობრივი დამოკიდებულება აღნიშნულ პერიოდში და უმცირესობათა ნდობის შენარჩუნების საჭიროება ხელისუფლების ორგანოების შესაძლებლობებში, დაიცვას ისინი რასობრივი ძალადობის საფრთხისგან; სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს აუცილებელი განსხვავება სხვა, არარასობრივი ნიშნით მოტივირებული დანაშაულებისგან, რომელიც წარმოადგენდა უსამართლო მოპყრობას, კონვენციის მე-14 მუხლიდან (დისკრიმინაციის აკრძალვა) გამომდინარე.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ შესაბამისად ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას მე-2 მუხლთან ერთობლიობაში.

Buckley v. The United Kingdom

25 სექტემბერი, 1996 წელი

აპლიკანტი დავობდა, რომ მას შემდეგ, რაც მას, მის ტერიტორიაზე აუკრძალეს ოჯახთან ერთად ქარავნებში ცხოვრება და მომთაბარე ცხოვრების დაწყება, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის და საცხოვრისის უფლებიდან გამომდინარე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის და საცხოვრისის უფლება) და მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-8 მუხლთან ერთობლიობაში. დაკმაყოფილდა ის პირობა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ერთმანეთს შეუპირისპირეს სამართლებრივი სიკეთეები და შესაბამისი და საკმარისი მნიშვნელობა მიანიჭეს მათ გადაწყვეტილებებს, კერძოდ, ზომები მიღებულ იქნა გზის უსაფრთხოების დაგეგმვის კონტროლის აღსრულების, გარემოს შენარჩუნების და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიზნებიდან გამომდინარე.

გენდერული იდენტობა

Christine Goodwin v. the United Kingdom

2002 წლის 11 ივლისი (დიდი პალატა)

მომჩივანი დავობდა იმის თაობაზე, რომ მის მიერ სქესის შეცვლას სამართლებრივად არ აღიარებდნენ. კერძოდ, იგი დავობდა შრომით ურთიერთობებში მის მიმართ მოპყრობის, სოციალური დაცვის, საპენსიო უფლებებისა და ქორწინების შეუძლებლობის შესახებ.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) იმის გამო, რომ არსებობდა ტრანსექსუალების და ტრანსექსუალების პოსტოპერაციული ახალი სექსუალური იდენტობის საზოგადოებაში მიღების და სამართლებრივი აღიარების ნათელი და მზარდი საერთაშორისო ტენდენცია. „იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა

საჯარო ინტერესის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც აღნიშნული ინდივიდუალური მომჩივნის მიერ სქესის შეცვლის სამართლებრივ აღიარებას შეუპირისპირდებოდა, ევროსასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ კონვენციაში მოცემული სამართლიანი ბალანსის ცნება წინამდებარე საქმეში აშკარად მომჩივნის სასარგებლოდ იხრებოდა” (გადაწყვეტილების §93).

სტრასბურგის სასამართლომ, აგრეთვე, დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-12 მუხლი (ქორწინების უფლება). ევროსასამართლო „ვერ დარწმუნდა, რომ მიჩნეული უნდა ყოფილიყო, რომ კონვენციის მე-12 მუხლის პირობები ვრცელდებოდა მხოლოდ ბიოლოგიური კრიტერიუმების მიხედვით სქესის განსაზღვრაზე” (§100). ევროსასამართლომ დასძინა, რომ სახელმწიფოს კომპეტენციაში არ შედიოდა ტრანსექსუალების ქორწინებების პირობებისა და ფორმალობების განსაზღვრა, თუმცა მან „დაადგინა, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, ტრანსექსუალებისთვის ქორწინების უფლებით სარგებლობის აკრძალვა გაუმართლებელი იყო” (§103).

იხილეთ, აგრეთვე, დიდი პალატის მიერ იმავე დღეს მიღებული გადაწყვეტილება *I. v. the United Kingdom* (no. 25680/94), სადაც ევროსასამართლომ, ანალოგიურად, დაადგინა კონვენციის მე-8 და მე-12 მუხლის დარღვევა. *Christine Goodwin* -ის საქმეზე დიდი პალატის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, გაერთიანებულმა სამეფომ წარმოადგინა სისტემა, სადაც ტრანსექსუალებს სქესის შეცვლის აღიარების მოთხოვნის თაობაზე განაცხადის წარდგენა შეეძლოთ. წინამდებარე ორივე საქმე ეხებოდა ტრანსექსუალებს, რომლებიც სქესის შეცვლის ოპერაციის ჩატარებამდე გახლდნენ დაქორწინებულნი და რომელთაც სურდათ სქესის შეცვლის აღიარების პროცედურით ესარგებლათ.

L. v. Lithuania (no. 27527/03)

2007 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება

წინამდებარე საქმე ეხებოდა სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის წარმოდგენის განუხორციელებლობას, რომელიც ტრანსექსუალებს უფლებას მისცემდა სქესის შეცვლის ოპერაცია ჩაეტარებინათ და, აგრეთვე, აღნიშნული ცვლილება ოფიციალურ დოკუმენტებში დაეფიქსირებინათ.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი (წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა) არ დარღვეულა. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი განიცდიდა ტანჯვასა და აშლილობას,

გარემოებები არ იყო ინტენსიური ხასიათის, რომელიც მოიცავდა განსაკუთრებულ, სიცოცხლისათვის საშიშ პირობებს, რათა მოხვედრილიყო ევროკონვენციის აღნიშნული მუხლის ფარგლებში.

სტრასბურგის სასამართლომ შემდგომში დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). ლიტვური კანონმდებლობა აღიარებდა ტრანსექსუალების არამხოლოდ სქესის, არამედ სამოქალაქო სტატუსის შეცვლის უფლებას. თუმცა, კანონმდებლობაში არსებობდა ხარვეზი იმ თვალსაზრისით, რომ არ არსებობდა კანონი, რომელიც აწესრიგებდა სქესის შეცვლის ოპერაციას. მოცემულმა ხარვეზმა მომჩივანი საკუთარ პირად ცხოვრებასა და მისი ნამდვილი იდენტობის აღიარებასთან დაკავშირებით უსიამოვნო გაურკვევლობაში დატოვა. ჯანდაცვასთან დაკავშირებულ საბიუჯეტო შეზღუდვებს შეეძლო გაემართლებინა სამოქალაქო კოდექსში ტრანსექსუალთა უფლებების იმპლემენტაციის თავდაპირველი შეფერხება, თუმცა არა აღნიშნულის ოთხი წლით დაყოვნება. ამ საკითხში შეზღუდული რაოდენობის ადამიანების ჩართულობის გათვალისწინებით, საბიუჯეტო ტვირთი გაუმართლებლად მძიმე არ იქნებოდა. შესაბამისად, სახელმწიფომ საზოგადოების ინტერესსა და მომჩივნის უფლებათა შორის სამართლიანი ბალანსი ვერ დაიცვა.

Schlumpf v. Switzerland

2009 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება

წინამდებარე საქმე ეხებოდა სადაზღვევო კომპანიის უარს, მომჩივნისათვის სქესის შეცვლის ოპერაციის ხარჯები აენაზღაურებინა; მათი უარი ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ მომჩივანმა, ოპერაციის ჩატარებამდე, არ შეასრულა ორწლიანი ლოდინის პერიოდი, რაც პრეცედენტული სამართლის მიხედვით მსგავსი ოპერაციების ხარჯების ანაზღაურებისათვის აუცილებელი იყო.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). ოპერაციის ჩატარებამდე ლოდინის პერიოდი გამოიყენებოდა მექანიკურად, მომჩივნის ასაკის (67 წელი) მხედველობაში მიღების გარეშე. აღნიშნულ დაყოვნებას შესაძლებელია, გავლენა ჰქონოდა მომჩივნის მიერ ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილებაზე, ამრიგად, ზიანი ადგებოდა მის უფლებას, განესაზღვრა საკუთარი გენდერული იდენტობა.

Hämäläinen v. Finland

2014 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება(დიდი პალატა)

მომჩივანი დაიბადა, როგორც მამაკაცი და 1996 წელს იგი ქალზე დაქორწინდა. 2002 წელს მათ შვილი შეეძინათ. აპლიკანტმა 2009 წელს სქესის შეცვლის ოპერაცია ჩაიტარა. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანმა სახელი 2006 წლის ივნისში შეიცვალა, მას არ შეეძლო შეეცვალა პირადი ნომერი, რათა ოფიციალურ დოკუმენტებში მიეთითებინა მისი მდედრობითი სქესი. ამისათვის მომჩივანს სჭირდებოდა ცოლის თანხმობა იმასთან დაკავშირებით, რომ მათი ქორწინება რეგისტრირებულ კავშირად გადაიქცა, რაზეც იგი უარს აცხადებდა ან ისინი უნდა განქორწინებულიყვნენ. შესაბამისად, ადგილობრივ რეესტრში წარდგენილი მომჩივნის მოთხოვნა, დაერეგისტრირებინათ როგორც მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, არ დაკმაყოფილდა. აპლიკანტი დაობდა, რომ მას ახალი სქესის სრული ოფიციალური აღიარება მხოლოდ ქორწინების სამოქალაქო პარტნიორობად გადაქცევით შეეძლო.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) არ დარღვეულა. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ სქესის შეცვლის სამართლებრივი აღიარების წინაპირობად ქორწინების რეგისტრირებულ კავშირად გადაქცევის მოთხოვნა არ იყო არაპროპორციული, ვინაიდან ეს გახლდათ გამოსავალი, რომელიც სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფდა ქორწინების თითქმის იდენტურ მდგომარეობაში მყოფი, ერთსქესიანი წყვილებისათვის. აღნიშნულ ორ სამართლებრივ ცნებებს შორის არსებულ უმნიშვნელო განსხვავებებს არ შეეძლო აეხსნა ფინური სისტემა, რომელიც კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით სახელმწიფოსათვის დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების თვალსაზრისით არასრული იყო. დამატებით, მსგავს ცვლილებას მომჩივნის ოჯახური ცხოვრებისათვის მნიშვნელობა არ ექნებოდა, ვინაიდან იგი გავლენას ვერ მოახდენდა აპლიკანტის მამობაზე ან ქალიშვილის მოვლის ვალდებულებაზე, მეურვეობასა და მის მიერ ბავშვის შენარჩუნებაზე.

ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის მე-12 მუხლთან (ქორწინების უფლება) მიმართებით ცალკე განსახილველი საკითხი არ წამოჭრილა და დაადგინა, რომ კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-8 და მე-12 მუხლებთან ერთობლიობაში არ დარღვეულა.

მოგზაურები

Winterstein and Others v. France

2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება

აღნიშნული საქმე ეხებოდა გასახლების პროცედურებს, რომელიც რამდენიმე „მომთაბარე ოჯახის“ წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს ოჯახები მრავალი წლის განმავლობაში ერთი და იგივე ადგილზე ცხოვრობდნენ. ეროვნულმა სასამართლოებმა, ბრძანების დაუმორჩილებლობის გამო, გამოსცეს ბრძანება მომთაბარე ოჯახების გასახლების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბრძანებები არ აღსრულებულა, ბევრი ოჯახი საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა. ალტერნატიული საცხოვრებელი სოციალურ სახლში მხოლოდ ოთხ ოჯახს მიეცა; ე.წ. ოჯახთა ადგილსამყოფელი, სადაც დანარჩენი ოჯახები უნდა განთავსებულიყვნენ, არ შექმნილა. მომჩივნები დაობდნენ, რომ ბრძანება, რომლის მიხედვითაც მათ იმ მიწის გათავისუფლება მოთხოვეს, სადაც ისინი წლები განმავლობაში ცხოვრობდნენ, წარმოადგენდა მათი პირადი, ოჯახური და საკუთარ სახლებში ცხოვრების უფლების დარღვევას.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა, მიუხედავად იმისა, რომ აღიარეს უკიდურესი აუცილებლობის და ამკარად უკანონო ქმედებების არარსებობა, მხედველობაში არ მიიღეს მომჩივანთა დასახლების ხანგრძლივი პერიოდი, მუნიციპალური ხელისუფლების მიერ სიტუაციის შეწყნარება, საცხოვრებლის ქონის უფლება, კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლები და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. ამასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო მექანიზმებსა და ევროპის საბჭოს მრავალ ინსტრუმენტზე, რომლებიც, ბოშებისა და მომთაბარე ოჯახების გასახლების შემთხვევაში, ხაზგასმით აღნიშნავდნენ მათთვის ალტერნატიული საცხოვრებლის უზრუნველყოფის აუცილებლობას. ეროვნულ ხელისუფლებას უნდა გაეთვალისწინებინა ის ფაქტი, რომ ასეთი მომჩივნები უმცირესობათა მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნებოდნენ; ეს გულისხმობდა მათი საჭიროებებისა და ცხოვრების განსხვავებული წესის მხედველობაში მიღებას, როდესაც საქმე ეხებოდა მიწის უკანონო ოკუპაციის შესახებ გამოსავლის მოძებნას ან შესაძლო ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის მიკუთვნების საკითხის გადაწყვეტას.

რასობრივი დისკრიმინაცია

Osman v. Bulgaria

16.02.2006

საქმე ეხებოდა ბულგარეთის იმ მოქალაქეების გამოსახლებას, რომლებიც წარმომავლობით თურქები იყვნენ და ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენდნენ.

ევროსასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის (დამამცირებელი მოპყრობა/ გამოძიება) დარღვევა დაადგინა. სტრასბურგის სასამართლომ მე-14 მუხლის დარღვევა არ დაადგინა და დასძინა, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის მიერ გამოთქმული განცხადებები აშკარად შეურაცხყოფელი და, შესაბამისად, მიუღებელი იყო, ისინი ევროსასამართლოს შესაძლებლობას ვერ აძლევდნენ, იმ დასკვნის გამოსატანად, რომ მომჩივნების მიერ გასაჩივრებული ძალადობრივი ქმედებები რასობრივი შეხედულებებით იყო მოტივირებული.

Timishev v. Russia

13.12.2005

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნისათვის ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე შესვლის თაობაზე ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმას, რაც მომჩივნის ჩეჩნური წარმომავლობით იყო განპირობებული.

ევროსასამართლომ დაადგინა მე-14 მუხლის დარღვევა მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან (გადაადგილების თავისუფლება) ერთობლიობაში. გამომდინარე იქედან, რომ მომჩივნის გადაადგილების თავისუფლება შეზღუდული იყო მხოლოდ მისი ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ განსხვავებული მოპყრობა რასობრივ დისკრიმინაციას წარმოადგენდა. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის (განათლების უფლება) დარღვევა, იმ საფუძველზე, რომ მომჩივნის შვილებს სკოლაში მიღებაზე უარი განუცხადეს.

“სხვებს შორის, პირის ეთნიკურ წარმომავლობას დაფუძნებული დისკრიმინაცია რასობრივი დისკრიმინაციის ფორმაა. რასობრივი დისკრიმინაცია დისკრიმინაციის განსაკუთრებით აღმაშფოთებელი ფორმაა და, მისი საშიში შედეგების გათვალისწინებით, ხელისუფლების ორგანოებისაგან განსაკუთრებულ სიფრთხილესა და სწრაფ რეაგირებას საჭიროებს. სწორედ ამ მიზეზით, ხელისუფლების ორგანოებმა ყველა ხელთ არსებული საშუალება უნდა გამოიყენონ, რათა აღმოფხვრან რასიზმი და, შესაბამისად, განამტკიცონ დემოკრატიის ხედვა იმგვარ საზოგადოებასთან დაკავშირებით, სადაც განსხვავებულობა აღიქმება არა საფრთხედ, არამედ გამდიდრების წყაროდ (Nachova and Others v. Bulgaria; Timishev v. Russia).

სტრასბურგის სასამართლომ, აგრეთვე, დაადგინა, რომ განსხვავებული მოპყრობა, რომელიც მხოლოდ ან გადამწყვეტად პირის ეთნიკურ წარმომავლობას ეყრდნობა, თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელიც პლურალიზმისა და განსხვავებული კულტურების პატივისცემაზეა დაფუძნებული, ვერ იქნება ობიექტურად გამართლებული (Timishev, § 58; D.H. and Others v. the Czech Republic, § 176).“ რაც შეეხება ასეთ საკითხებთან მიმართებით მტკიცების ტვირთს, ევროსასამართლომ დაადგინა, ვინაიდან მომჩივანმა ნათელყო განსხვავებული მოპყრობის არსებობა, მთავრობამ უნდა დაამტკიცოს, რომ აღნიშნული განსხვავებული მოპყრობა გამართლებული იყო (Timishev, § 57).